მერაბ მამარდაშვილი

რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

ქართული თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი უჩანეიშვილს

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2021

მწერალთა სახლი

წიგნი გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით

თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემის მიხედვით:

Мамардашвили М. К.
Классический и неклассический идеалы рациональности. – СПб.: Азбука, Азбука-Аттикус, 2010. – 288 с.
ISBN 978-5-389-01166-3

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი
რედაქტორი: ბაქარ როსტიაშვილი
კორექტორი: ეკატერინე კვირკველია
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

© ელენე მამარდაშვილი
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3348-9

სარჩევი

რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

1. დაკვირვების პრობლემა 9
2. ფენომენის ცნება 30
3. ცნობიერების ფენომენის მრავალგანზომილებიანობა 57
4. მოქმედების კონტინუუმის ნივთობრივი ეფექტის აბსტრაქცია 86
5. რაციონალურობის სიმბოლური ელემენტი 120

მ. მამარდაშვილი, ე. სოლოვიოვი, ვ. შვირიოვი
კლასიკური და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია
(ეპისტემოლოგიური შეჯერების მცდელობა)

პირველი სტატია 133
კლასიკური ფილოსოფია 139
მეორე სტატია 164
არაკლასიკური სიტუაციები და ტრადიციული ფილოსოფიის კრიზისი 167

კლასიკა და თანამედროვეობა: ბურჟუაზიული ფილოსოფიის განვითარების ორი ეპოქა 195
კლასიკური ფილოსოფია 204
სულიერი წარმოების ტრადიციული ფორმებისა და თვითცნობიერების მათი შესაბამისი სტრუქტურის მოშლა 227
თვითცნობიერების ეთიკურ-ფსიქოლოგიური ვარიანტი 239
მეცნიერების ფილოსოფიის კრიტიკულ-რეფლექსიური ვარიანტები 253

ვ. კაღინიჩენკო. „კლასიკურისა“ და „არაკლასიკურის“ ცნებები მ. მამარდაშვილის ფილოსოფიაში..... 276
1. „კლასიკურისა“ და „არაკლასიკურის“ ცნებები 1972 წლის სტატიაში..... 277
2. არაკლასიკური გამოცდილების ონტოლოგია 282
3. დეკარტის არაკლასიკურობა 287

მერაბ მამარდაშვილის ცნებათა განმარტება 306
გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები 308-310

„რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები“, წიგნი, რომელსაც საფუძვლად მერაბ მამარდაშვილის მიერ 1980 წლის მაისში ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი დაედო სახელწოდებით „შემეცნებითი ფორმების ანალიტიკა და ცნობიერების ონტოლოგია“, სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის რაციონალურობის არაკლასიკურ ფორმულირების განხილვას ეძღვნება.

ნაშრომში ფიზიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგალითების მიხედვითაა განხილული წანამძღვრები და დაშვებები, რომლებიც განსაზღვრავენ, როგორც მეცნიერული ანალიზის ობიექტურობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ისევე ამ ობიექტურობის მიღწევის შესაძლებლობას შემმეცნებელი სუბიექტის მიერ.

წიგნში ასევე მოცემულია ორი სტატია, დაწერილი მერაბ მამარდაშვილის მიერ ე. სოლოვიოვთან და ვ. შვირიოვთან ერთად, რომელთა გამოქვეყნება გასული საუკუნის 70-იან წლებში დიდ მოვლენად იქცა.

მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი

მერაბ მამარდაშვილი

რაციონალურობის კლასიკური და არაკლასიკური იდეალები

1. დაკვირვების პრობლემა

თავისი კლასიკური დასასრულით ფილოსოფიამ და მეცნიერებამ (თუ ამ დასასრულს XIX საუკუნის ბოლოთი და XX საუკუნის დასაწყისით დავათარიღებთ) მოგვცეს სრულიად განსაზღვრული ონტოლოგია გონებისა, რომელიც იმ ობიექტურ ფიზიკურ მოვლენებს (ფიზიკურ სხეულებს) აკვირდება, რომელთა შესახებ ცოდნის მიღება და აგება მეცნიერებაში ხდება. საკუთრივ თუ ვიტყვით, ეს ონტოლოგია არის კიდეც „რაციონალურობა“, ანუ „რაციონალურობის იდეალი“. რაც შეეხება გონების (ან, შესაბამისად, რაციონალურობის) ონტოლოგიის არაკლასიკურ პრობლემას, მას ფესვი იმ ცვლილებებში აქვს გადგმული, რომლებიც XX საუკუნეში იჩენენ თავს – სამყაროს მეცნიერულ სურათში ცნობიერ და ცხოვრებისეულ მოვლენათა შემოტანის ამოცანასთან დაკავშირებით. უკანასკნელი ნაბიჯი, კერძოდ კი ცნობიერებისა და ცხოვრების მოვლენათა შემოტანა სამყაროს ფიზიკურ სურათში, ერთობ პრობლემატურია.

უპირველეს ყოვლისა, მარტივი ფაქტი აღვნიშნოთ: ცნება დაკვირვებისა (რომელიც ფიზიკური მეცნიერებებისა და საერთოდ ბუნებისმეტყველების განსაკუთრებული, კერძო ტერმინებით უბრალოდ ცნობიერების განსაზღვრული ფილოსოფიური აბსტრაქციების გამოყენება და რეალიზაციაა) იქცა ერთ-ერთ გადამწყვეტ და პირველად (დამოუკიდებელ) ცნებად, რომელსაც თანამედროვე ფიზიკური მეცნიერებები შეეჩეხნენ. იმის მნიშვნელობის შესახებ, თუ საერთოდ როგორ არის ის აგებული, საუბრობს, როგორც ფარდობითობის თეორია, ისე კვანტური ფიზიკა; წინა პლანზე გამოვიდა ის ეთნოლოგიურ, ანთროპოლოგიურ, იდეოლოგიურ და ა.შ., კვლევებშიც, ფსიქოლოგიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. განსხვავებული პრობლემებისა და მეცნიერებების შეჯვარებამ მიგვიყვანა გზაჯვარედინთან, სადაც დაკვირვების ცნების მეტ-ნაკლებად ზუსტად განსაზღვრის მწვავე აუცილებლობა წარმოიქმნა

– თუნდაც იმდენად ზუსტის, რომ ის თავისი სიზუსტითა და განმარტებადობით მათემატიკურ და ფიზიკურ ცნებათა განსაზღვრის სიზუსტეს უახლოვდებოდეს. სხვა სიტყვებით, იქცა რა ძირითადად ფიზიკის თეორიულ-შემეცნებით სტრუქტურაში, ისევე, როგორც, ბუნებრივი გზით, ლინგვისტიკის, ფენომენოლოგიის, ეთნოლოგიის, ფსიქოლოგიის, სოციალური თეორიის სტრუქტურაში, დაკვირვების ცნებამ ფიზიკური მოვლენების ჩვენი ცოდნის ფორმულირება არა მხოლოდ დამოკიდებული გახადა ცნობიერი რიგის კვლევის შედეგებზე მოვლენებისა, რომლებიც ყოველთვის თან ახლდნენ და ახლაც მეგზურობენ პირველთა კვლევას, არამედ ახლა ფსიქოლოგიის ან რომელიმე X-მეცნიერებისგან, რომელიც ცნობიერების თეორიით არის დაკავებული, გარკვეულ იდეალიზაციებსა და აბსტრაქციებს მოითხოვს, რომლებსაც უნარი შესწევთ შუქი მოჰფინონ დაკვირვების მოვლენას მის იმ ნაწილში, რომელშიც ის, თვით მისი ფენომენი, ზოგადად ფესვებით მიდის მგრძნობელი და ცნობიერი არსებების მდგომარეობაში ბუნების სისტემაში.

ამით იმის თქმა მსურს, რომ დაკვირვების ცნებამ, რომელიც იმგვარად არის აგებული, რომ იმ ცნობიერ პროცესთა იმპლიკაციები გამოავლინოს, რომლებიც ფიზიკური მოვლენებისა და პროცესების ფორმულირების ნაწილია (რასაც კლასიკური ტრანსცენდენტალური ანალიზიც ახორციელებდა), შ ე ი ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ ს რ ა ჰ ო მ ო გ ე ნ უ რ ო ბ ა ს, ამასთანავე სივრცე უნდა გაშალოს ცნობიერების იგივე მოვლენების ანალიზისა და გაგებისთვისაც, როგორც განსაზღვრულ არსებათა სიცოცხლის მდგომარეობებისა, რომლებიც იბადებიან, ვითარდებიან, ურთიერთობენ, იცვლებიან და კვდებიან.

მსგავსი ამოცანის გადაწყვეტა შესაძლოა ყოფილიყო პასუხი XX საუკუნის ფილოსოფიასა და მეცნიერულ კულტურაში მომწიფებულ პრობლემაზე, რომელიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერული კვლევის იმ სტილს, რომელიც ახლაა გაბატონებული, არ ძალუძს ერთ, ლოგიკურად ჰომოგენურ კვლევაში ეს ორი განსხვავებული რამ გააერთიანოს – ის, თუ როგორ ვიკვლევთ ჩვენ ფიზიკურ მოვლენებს და მათ ობიექტურ გაგებას ვაღწევთ და ის, თუ როგორ ძალგვიძს ამასთანავე გაგება – მეცნიერუ-

ლად, ობიექტურად – იმ ცნობიერი და ცხოვრებისეული მოვლენებისა, რომლებიც პირველ (ანუ ფიზიკურ) მოვლენათა კვლევისა და გაგებისას შეინიშნება (როგორც, სხვათა შორის, უამისოდაც). ხოლო მოვლენათა ორი რიგის ანალიზის საშუალებათა უნიფიკაცია – ფიზიკური რიგისა და ცნობიერების რიგის – აშკარად აუცილებელია (ანუ, ფაქტობრივად, ამით მეცნიერებათა ორი ციკლი გაერთიანდება – ფიზიკური მეცნიერებებისა და სიცოცხლისა და ცნობიერების შესახებ მეცნიერებების). სამყაროს ინტელექტუალურად დამაკმაყოფილებელი, სრული სურათი ვერ ითმენს საკუთარ თავში ასეთ ხარვეზს. სხვა სიტყვებით, საუბარია შესაძლებლობის რეალიზაციის შესახებ (რომელსაც ყოველი სრული და თვითკმარი ნატურალური ფილოსოფია გულისხმობს) ერთგვარი ერთობლივი განხილვისა, ერთი მხრივ, ობიექტური ფიზიკური პროცესებისა, ხოლო, მეორე მხრივ, მათთვის გარეშე ცნობიერი მოქმედებებისა და მდგომარეობების, ანუ ისეთი განხილვის, რომ პირველთა გამოხატვა (მათი საკუთარი კანონებისა მიხედვით, რომლებიც გამოხატულებაშია ფორმულირებული) დასაშვებს ხდიდეს სიცოცხლისა და ცნობიერების ისეთი მდგომარეობების დაბადებას და არსებობას (ჩვენთვის გასაგებს), რომლებშიც თვით მათივე აღწერა ხერხდება და რომლებიც, იმავდროულად, წარმოადგენენ არსებათა იმ განსაზღვრული გვარის ისტორიის ელემენტს, რომელსაც „ადამიანები“ ან „კაცობრიობა“ ეწოდება.

სწორედ ამ დელიკატურ პუნქტში შეიჭრა რიგი მეცნიერებებისა, რომლებიც XX საუკუნისთვის არის სპეციფიკური. აქ მე მხედველობაში მაქვს არა მხოლოდ ფარდობითობის თეორია და კვანტური მექანიკა, რომლებშიც ეს შეჭრა უდავოა, არამედ ისეთ „ორაზროვან“ მეცნიერებასაც ვგულისხმობ, როგორიც ფროიდის ფსიქოანალიზია. კულტურისა და მეცნიერული აუდიტორიის მიერ ფსიქოანალიზის აღქმის თვით უჩვეულობა იმას კი არ მოწმობს, რომ ფსიქოანალიზი, როგორც ხანდახან ამბობენ, XX საუკუნის ერთგვარ მითოლოგიას წარმოადგენს, არამედ მეცნიერული კვლევის ჩვენეული ჩვევების შეცვლის სირთულეს, რომლის ფეს-

ვები, სხვათა შორის, დაკვირვების (ანუ, რაციონალურობის) იმ ცნებაშია გადგმული, რომელიც ჩამოყალიბდა და კლასიკური მეცნიერების საფუძვლად დევს.

დასაწყისისათვის ამ პუნქტის გამყარებას შევეცდებოდი, საქმის მსვლელობასთან ერთად კი იმ გარდაქმნათა მაგალითებს მოვიტან, რომლებიც ბუნებაზე დაკვირვების ჩვენი შესაძლებლობების პირობებში ფარდობითობის თეორიის, კვანტური მექანიკის და იდეოლოგიის თეორიის (რომელიც სათავეს მარქსიდან იღებს და რადიკალური აზრით არაკლასიკურია, ანუ განსხვავდება კლასიკური ონტოლოგიისა და ეპისტემოლოგიის ჩვევებისგან) მიერ არის წარმოებული, ასევე მოვიხმობ მაგალითებს ფსიქოანალიზიდან და ა.შ., ამ ყველაფრიდან კი რაიმე გაკვეთილს გამოვიტანთ, რომელიც იმ ამოცანის კალაპოტში მიედინება, რომლის შესახებ მე უკვე ვისაუბრე და რომლის რეზიუმირება ასე შეიძლება: ზოგადად, საუბარი ფაქტობრივად მიმდინარეობს რაციონალურად წვდომადი მოვლენების ერთგვარი გაფართოებული ონტოლოგიის შესახებ, ონტოლოგიისა, რომელიც ასევე მოიცავს რეგიონს „ფსიქიკა – ცნობიერება“.

ამისათვის კი, რასაკვირველია, უკან უნდა დავბრუნდეთ, ჩვენი მეცნიერების საწყისებთან, და ხელახლა გავაანალიზოთ, გულდასმით გავყვეთ იმ მოვლენებთან მიმართებით ცოდნისა და გამოცდილების მიღების გზებსა და პროცესებს, რომლებიც კლასიკურ მეცნიერებაშია შემუშავებული.

თავდაპირველად მათ შედეგს შეგახსენებთ: წიაღში ფიზიკური თეორიისა, რომელიც ბუნებრივ მოვლენებს იკვლევს და ფიზიკური სამყაროს ერთგვარი ობიექტური და ინტელექტუალურად შეღწევადი სურათის მიღწევას ცდილობს, ჩვენ არ შეგვიძლია (თვით ამ თეორიის წიაღში) იმ საშუალებების გაგება, რომლებსაც ამ სურათის ასაგებად ვიყენებთ. იმდენად, რომ ისეთი მეცნიერიც კი, როგორიც ფონ ნეიმანია, ცდილობდა რა აეხსნა, თუ საიდან ჩნდება ფიზიკურ თეორიაში ფარდობითი მნიშვნელობები და განუსაზღვრელობები, ამ ფარდობითი მნიშვნელობებისა და განუსაზღვრელობების წარმოშობას იმ ფაქტს უკავშირებდა, რომ თეორიას (ფიზიკურ თეორიას) საქმე აქვს მოვლენებთან, რომ-

მერაბ მამარდაშვილის ცნებათა განმარტება

Обстояние – მდგომარეობა
Несводимый – დაუყვანელი
Со-родственный – თანა-ნათესაური
Со-природный – თანა-ბუნებითი
Пред-данный – წინარემოცემული
Выраженность – გამოხატულებობა
Слитость – შერწყმულობა
Связность – კავშირობა
До-определение – განსაზღვრულობამდელობა
Являемость – მოვლენობა
Предпосылаемость – წანამძღვრობა
Понимательный – გაგებითი
Случание – მოხდომა
Истинностный – ჭეშმარიტეული
Сообщенность – შეტყობინებობა
Законосообразный – კანონშესაბამისი
Расцепление – დაშორიშორება
Продействовать – გარკვეული ხნის განმავლობაში მოქმედება
Собственнолично – თვითპიროვნულად
Размерность – ზომადობა
Многомерность – მრავალგანზომილებობა
Многосвязность – მრავალკავშირობა
Предустановление – წინასწარდადგენილობა
Внеопытность – გამოცდილებამიღმურობა
Естественномерный – ბუნებრივზომადი
Самодостоверный – თვითსარწმუნო
Многосложный – მრავალრთული
Совместность – ერთობლიობა

Инобытие – სხვადყოფა
Связка – ნასკვი
Самообраз – თვითხატი
Своеприродный – თვითბუნებრივი
Действование – მოქმედებობა
Задаться – დასახვა
Деятельность – მოღვაწეობა
Отчужденный – განრიდებული
Установка – განწყობა
Непредубежденный – უწინაზრახვო
Надсоциальный – სოციალურსზევითა
Сразу-понятность – მყისიერ-გაგებადობა
Сразу-объясненность – მყისიერ-განმარტებადობა
Интеллективно – ინტელექტურად
Подвешенный – შეკიდებული
Предустроенность – წინასწარდადგენილობა
Преддействие – წინარემოქმედება
Доопределение – განსაზღვრულობამდელობა
Сознавание – გაცნობიერება

თქვენი შენიშვნები გთხოვთ გამოგვიგზავნოთ მისამართზე
E-mail: akti.publishing@gmail.com
T. (+995) 591 92-21-23

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა

4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია

18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური
და არაკლასიკური იდეალები

27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

32. ოშო – რა არის მედიტაცია?
33. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

34. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
35. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი
36. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა